საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-269

26/03/2019

ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის" სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2019 წლის 11 იანვარს, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის" პროექტი და სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადება და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, ვადების დაცვით, 2019 წლის 15 იანვარს განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (http://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/8357), ასევე გამომდინარე იქიდან, რომ სტრატეგიის მოქმედება ვრცელდება დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე, განცხადება განთავსდა შესაბამისი მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე.

წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტის მიზანია, მიწათსარგებლობის ზონებისა და ცალკეული გეგმარებითი ერთეულების დაზუსტება, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებითი და სივრცით-მოცულობითი მახასიათებლების და შენობა-ნაგებობების გეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრა, რელიეფის ორგანიზება, ტერიტორიების კეთილმოწყობა და გამწვანება, ასევე გუდაურის სარეკრეაციო დასახლების კონკრეტული საპროექტო ტერიტორიის (გუდაურის მაღლობების) საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა.

„გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის" პროექტი ეყრდნობა „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 ივნისის №331 დადგენილებას.

„გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა" დამტკიცებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ამოქმედებამდე და შესაბამისად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურა აღნიშნულ დოკუმენტზე არ ჩატარებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე

მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის“ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურისადმი დაქვემდებარების საკითხი, განხილული უნდა იქნეს კონკრეტული დოკუმენტის სამოქმედო არეალის სფეროების და მასშტაბების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, დამტკიცებულია თუ არა მასზე იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი - „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა“.

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გეგმის ერთ-ერთი ამოცანაა გუდაურის სარეკრეაციო ზონა მდგრადი განვითარების გრძელვადიანი ხედვის საფუძველზე გახდეს მიმზიდველი ადგილი. წარმოდგენილმა სტრატეგიულმა დოკუმენტმა უნდა უზრუნველყოს „გუდაურის მაღლობების“ მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს, როგორც დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის, ასევე ტურიზმის სექტორს. განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით უნდა განისაზღვროს შესაბამისი მახასიათებლები და მოცულობები „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” I და II დანართის ისეთი საქმიანობებისთვის, როგორიცაა საავტომობილო გზის მოწყობა, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და გაზმომარაგება, ასევე სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება და ა.შ.

„გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის” საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს 532 986 კვ.მ-ს.

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, იგეგმება საკურორტო რეკრეაციული ზონა-1-ის (სრზ1) ფართობის გაზრდა 98 577 კვ.მ-ით. შესაბამისად, ნაცვლად გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიების მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გათვალისწინებული 167 907 კვ.მ. ტერიტორიისა, საკურორტო რეკრეაციული ზონა 1-ის ფართობი იქნება 266 484 კვ.მ. ხოლო განაშენიანების ჯამური ფართობი განისაზღვრება 53 296 კვ.მ-ით. სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი ცვლილება საშუალებას იძლევა საპროექტო ტერიტორიების განაშენიანება მოხდეს ნაკლებად მჭიდრო გარემოში, ხოლო შენობების სიმაღლის შემცირებით ვიზუალური ზემოქმედება შერბილდება. შესაბამისად, საკურორტო-რეკრეაციული ზონის გაზრდის ხარჯზე მცირდება აუთვისებელი, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, ტერიტორიის განაშენიანება გამოიწვევს ცვლილებას მიწის დაფარულობასა და მიწათსარგებლობაში, რადგან პროექტით დაგეგმილი ღონისძიებებისა და საქმიანობების განხორციელებით ადგილი ექნება აუთვისებელი მიწის - ე.წ. „გრინფილდ“ განვითარებას. მშენებლობის დროს მოხდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, შესაბამისი დასაწყობება და აღდგენა კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით.

სკრინინგის განცხადებაში მითითებულია მეწყრული, ზვავსაშიში და სხვა შესაძლო ბუნებრივი საფრთხეების პრევენციის ღონისძიებებისა და მათი მართვის მნიშვნელობის შესახებ, ამასთან, აღნიშნულია მთის ეკოსისტემებზე ზემოქმედების საკითხი, ხოლო საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობებზე სავარაუდოდ მოსალოდნელი ზემოქმედება დაზუსტდება საბაზისო კვლევების ეტაპზე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ბუნებრივი რესურსების გამოყენების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის რესურსები, ბიომრავალფეროვნება) ზუსტი მასშტაბი დადგინდება საბაზისო კვლევების ეტაპზე. დეტალური საბაზისო კვლევებისას, ასევე განისაზღვრება ავარიის ან/და კატასტროფის რისკი მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე, მოსალოდნელ გეოლოგიური პროცესების გააქტიურების საფრთხისა და გეოდინამიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე ასევე მოსალოდნელია არასახიფათო და ინერტული ნარჩენის წარმოქმნა, თუმცა სკრინინგის განცხადებაში არ არის მითითებული ინფორმაცია მათი მართვის შესახებ. დოკუმენტში ხაზგასმულია ახალი დასახლების მიერ ნარჩენების წარმოქმნა, ასევე მინიმიზაციის პრაქტიკის დანერგვის მნიშვნელობა მთის (მოწყვლად) საკურორტო ადგილებში.

გეგმის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია ზემოქმედება მიწისზედა და მიწისქვეშა წყლის ობიექტებზე. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია დასახლების უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფის თაობაზე და მითითებულია, რომ წარმოქმნილი ნარჩენი წყლების გაწმენდა წყალჩაშვებამდე უნდა მოხდეს ან ახალი გამწმენდი ნაგებობის განთავსების, ან არსებულთან დაერთების გზით. ხმაურის შემცირების მიზნით, სკრინინგის განცხადების მიხედვით, საჭიროა სატრანსპორტო ქსელის შეძლებისდაგვარად ოპტიმალურად დაგეგმვა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი არ მდებარეობს ჭარბტენიან ტერიტორიებთან, არ კვეთს არსებულ ან გეგმარებით დაცული ტერიტორიების საზღვრებს, ასევე არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლი ან ობიექტი.

„გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის“ პროექტსა და სკრინინგის განცხადების თაობაზე, სამინისტროში შემოსულია ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ შენიშვნები, რომლებიც ეხება სტრატეგიული დოკუმენტით განხორციელების შედეგად გარემოზე ზემოქმედების მასშტაბს. მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული განაშენიანების ფართობის ცვლილებას (გაზრდას) და კოდექსის დანართებით განსაზღვრულ საქმიანობებს, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დაქვემდებარებისადმი გადაწყვეტილების მიღებისას.

საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის პროექტსა და სკრინინგის განცხადების შესახებ სხვა შენიშვნები წარმოდგენილი არ ყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული არეალის განაშენიანება უკვე განისაზღვრა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით, ამჟამად წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტი აზუსტებს მიწათსარგებლობის ზონებს და განსაზღვრავს შენობა-ნაგებობების განთავსებისთვის გეგმარებით პარამეტრებს.

წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტის გეგმით შემოთავაზებული განაშენიანების თაობაზე ცვლილება იწვევს ლანდშაფტურ-რეკრეაციული ზონის შემცირებას საკურორტო-რეკრეაციული ზონის გაზრდის ხარჯზე. აღნიშნული ცვლილება დასაბუთებულია მხოლოდ განაშენიანების ინტენსიფიკაციისა და ვიზუალური ზემოქმედების შემცირების კუთხით, ასევე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია

ტექნიკური, საინჟინრო უზრუნველყოფის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და სხვა საკითხების თაობაზე.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების მიზანია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება და სტრატეგიულ დოკუმენტზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტების გათვალისწინება. წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში ხაზგასმულია გარემოზე ზემოქმედების შესაძლო რისკები და შესაბამისი საბაზისო კვლევების ჩატარების აუცილებლობა.

„გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმა“ ახდენს ამჟამად აუთვისებელ ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანებას, რაც გულისხმობს 26.6 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის დანიშნულების შეცვლას. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული დოკუმენტის გეგმაში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის შესახებ, აღნიშნულმა გეგმამ უნდა დაადგინოს სამომავლო განვითარების ჩარჩო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I და II დანართებით გათვალისწინებული კონკრეტული საქმიანობებისთვის, განსაზღვროს მათი მოცულობები და მასშტაბები. ვინაიდან გარემოს დაცვის თვალსაზრისით ამ ეტაპზე არ არის ჩატარებული შესაბამისი საბაზისო კვლევები, შესაძლებელია წარმოდგენილი გეგმით გათვალისწინებულმა საქმიანობებმა გამოიწვიოს გარემოზე ხანგრძლივი და შეუქცევადი ზემოქმედება, რაც საჭიროებს შეფასებას. ამასთან სგშ-ის ეტაპზე უნდა დადგინდეს გარემოსდაცვითი რისკები და განისაზღვროს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირების ღონისძიებები.

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-20 მუხლის მე-5 ნაწილისა და 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე:</u>

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (გუდაურის მაღლობების) განაშენიანების რეგულირების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ;
2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდებზე

და დუშეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი